№ 122 მთავრობის მოამბე უოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. პარასკევი, ივნისის 4 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტისწინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიაროო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

საქართველოს სახაზინო რკინის გზების სამართველო

ამით აცხადებს, რომ 15 ივნისს, 1920 წელს დილის 12 საათზე იგი იწვევს კონკურენციას შემდეგ სამუშაოებზე:

1) ვაგონების დატვირთვა და გადმოტვირთვა სხვა და სხვა მასალებით და სათბობი მასალით (ქვა-ნახშირი და შეშა.)

2) სათბობ მასალის დარიგება საწყობებიდან მოსამსახურეთა სახაზინო ბინებზე.

3) დატვირთვა ორთქლმავალების ქვა-ნახშირით და აგრეთვე სხვა და სხვა სამუშაოები სამასალო და სათბობ მასალის შემდეგ საწყობებში: ბათომი, სამტრედია, ფოთი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, ბორჯომი, ტფილისი, სანაინი და დროებითი საწყობი. ვადა სამუშაოებისა ამა 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე 1920 წ.

განცხადებები უნდა შემოტანილ ან გამოგზავნილ იქნეს თვითეულ საწყობზე ცალკე დახურულ კონვერტში შემდეგი მისამართით: ქალ. ტფილისი, საქართველოს სახაზინო რკ. გზების სამართველო, სამმასალო სამსახურის უფროსს. დაწვრილებითი ცნობების მიღება ან გამოთხოვა ზემო აღნიშნულ სამუშაოების შესახებ შეიძლება სამასალო ნაწილის უფროსისაგან და აგრეთვე საწყობების ზედამხედველებისაგან ადგილობრივ. 604 3—2

კახეთის რკინის გზის საზ. გამგეობა

აუწყებს ბ.ბ. აქციონერებს, რომ მორიგი საზოგადო კრება, რომლის განსახილველი საგნები გამოცხადებული იყო „საქართველოს რესპუბლიკის“ მაისის №№ 118 და 119 და ივნ. № 126, შესდგება ოთხშაბათს 30 ივნისს 1920 წ. დილის 11 საათზე გამგეობის სადგომში, ქ. ტფილისში, ელისაბედის ქ. № 73.

ამ კრებაზე დასასწრებლად აქციებს ან მათ მაგიერ სახელმწიფო ბანკის და სხვა და სხვა კერძო საკრედიტო დაწესებულებების მოწმობებს, რომ ამ მოწმობებში აღნიშნულ ნომრების აქციები მათ აქვთ შესანახად ან გირაოდ და არ იქნებიან გაცემულნი მორიგი კრების მეორე დღემდე, გამგეობა მიიღებს ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილის 11 საათ. დღის 2 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართით; უკანასკნელი ვადა აქციების და მოწმობების წარმოდგენისა წესდების § 43 თანახმად შესრულდება სამშაბათს, 15 ივნისს, 1920 წ. დღის 2 საათზე. 607 1—1

მასწავლებელთა საყურადღებოთ.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო იწვევს ზაფხულის განმავლობაში მსურველთ აგრარულ რეფორმის გატარებაზე სამუშაოთ.. მსურველები მიიღებიან სარაიონო მდივნებისა, ინსტრუქტორებისა და კანტროლიორების თანამდებობაზე. ჯამაგირები არა ნაკლები ოთხი ათასი მანეთისა. გარდა ამისა, მასწავლებლებს შეენახებათ თავიანთი ჯამაგირებიც. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება მიწათ-მოქმედებას სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებაში. აქვე უნდა გამოიგზავნოს წერილობითი განცხადებებიც და თხოვნებიც 15 ივნისამდე. 606 4—1

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

28 მაისი, 1920 წ. № 181.

განთავისუფლებულ იქნას დროებით სამსახურიდან ერთი თვის ვადით სახელმწიფო ქალალდების დამმზადებელ ექსპედიციის კონტროლიორი ივანე მირიანის ძე გიგინეიშვილი ამა წლის 1 ივნისიდან.

25 მაისი, 1920 წ. № 180.

განთავისუფლებულ იქმნას ორი კვირის ვადით სამსახურის მოვალეობის აღსრულებისაგან საერთო კანცელარიის საქმის მწარმოებელი იოსებ დავითის ძე მებურიშვილი ამა წლის 27 მაისიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი
ხ. ავალიანი.

საბაჟოს ნაწილის უფროსისა.

3 აპრილი, 1920 წ., № 12.

ინიშნებიან: გაკრის ხაბაჟოში: სოხუმის საბაჟოს ბუღგალტერი ს. ნამიჩეიშვილი გამგედ.

სადახლოს საბაჟოში: ფოთის საბაჟოს ბუღგალტრის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი დ. შავდია ბუღგალტრის იგივე მდივნის თანამდებობის აღმასრულებლად.

ზემოაღნიშნულნი პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობებზე 20 მარტიდან ამა წლისა.

3 აპრილი, 1920 წ., № 14.

ინიშნებიან ტფილისის საბაჟოში: ამავე საბაჟოს უმცროსი კონტროლიორები ი. ფავლენიშვილი და ი. გვარამაძე უფროს კონტროლიორებად, სადახლოს საბაჟოს გამგე კვიროსი ხომერიკი უმცროს კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად.

ზემოაღნიშნულნი პირნი ინიშნეაიან ხსენებულ თანამდებობებზე 21 მარტიდან 1920 წ.

საბაჟო ნაწილის უფროსი **ბ. ბიქაძე.**

იუსტიციის მინისტრისა.

27 მაისი, 1920 წ. № 157.

დაინიშნოს თანახმად თავისი თხოვნისა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრად ტფილისის სასამართლო პალატის წევრი ალექსი პეტრეს ძე გეევსკი ამა წლის მაისის 27-დან.

27 მაისი, 1920 წ., № 158.

დაინიშნოს თანახმად თავისი თხოვნისა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრად ტფილისის სასამართლო პალატის წევრი მაქსიმ პავლეს ძე დაიკონენკო ამა წლის მაისის 27-დან.

27 მაისი, 1920 წ. № 159.

მოწვეულ იქმნას იუსტიცის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრად ტფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარის ამხანაგი კარლ ლუდვიგის ძე ლემერმანი თავის თანამდებობაზე დატოვებით ამა წლის მაისის 27-დან.

27 მაისი, 1920 წ., № 160.

დაინიშნოს: იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრად სამხედრო სასამართლოს ყოფილი წევრი ივანე კლიმენტის ძე დავიდოვიჩი ამა წლის მაისის 27-დან.

27 მაისი, 1920 წ. № 161.

დამტკიცებულ იქმნას თანამდებობაზე საპყრობილეთა მხლებელ რაზმის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი დავით ივანეს ძე ჯაფარიძე.

17 მაისი, 1920 წ., № 145.

ჩაირიცხოს იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და დაინიშნოს ლეჩხუმის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ნოვოროსიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაქულტეტის კურს დამთავრებული გრიგოლ კონსტანტინეს ძე აბაკელია ამა წლის მაისის 17-დან.

22 მაისი, 1920 წ. № 154.

დაინიშნოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრად, თავის თანამდებობაზე დატოვებით, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის უფროსი ალექსანდრე იოსების ძე კანდელაკი ამა წლის მაისის 21-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

21 მაისი, 1920 წ. № 152.

დამატებად ამა წლის მაისის 5-ს № 135 ბრძანებისა დათხოვნილ იქმნას სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა ქოდალოს უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ტატოსოვი არამ მათეს ძე ამა წლის მაისის 1-დან.

იუსტიციის დეპარტამენტის
დირექტორი **გ. ჟორდანია**

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარისა.

№ 1.

სამსახურის საჭიროებისათვის 1 თებერვლიდან ა. წ. ფოთის მეორე უბნის სასამართლოს ბოქაული ბენედიქტე ბაკურაძე და სენაკის უბნის ლავრენტი თოფურიძე დროებით იქნენ გარდაყვანილი ერთი მეორეს ადგილზედ, ხოლო ბაკურაძეს დაევალოს გარდა თავისი პირდაპირი მოვალეობისა მოსამართლეთა ყრილობის კანცელარიაში მუშაობა.

№ 2.

ინიშნება ქ. ფოთის მცხოვრები იაგორა მარკოზის ძე კაჭარავა ფოთის მეორე უბნის სამომრიგებლო სასამართლოს გზირად პირველ ამა თებერვალიდან. (მოხსენება ფოთის უბნის მოს. № 166).

ინიშნება ქ. ფოთის სამომრიგებლო სასამართლოს დარაჯი ბარნობა ალექსანდრეს ძე ჭყონია ფოთის მეორე უბნის სამომრიგებლო სასამართლოს კანცელარიის გადამწერად პირველ ამა თებერვალიდან და სამუშაოდ განწესებულია პირველ უბნის მოსამართლის კანცელარიაში.

№ 3.

გამოირიცხება სამსახურიდან მოსამართლეთა ყრილობის გზირი იუსტინე ბირქაია 1 ამა თებერვლიდან.

ინიშნება სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის გზირად ს. კულაშის მცხოვრები კონონი მიქელაძე პირველი ამა თებერვლიდან.

№ 4.

ინიშნება ს. ნაესაკოვის მცხოვრები ქსენია ლუკას ასული ჩიქოვანისა ქ. ფოთის მეორე უბნის სამომრიგებლო სასამართლოში მანქანაზედ მბეჭდავათ 1 მარტიდან 1920 წ. თანახმად მისი თხოვნისა, ასლი ამ განკარგულებისა და თხოვნა გაეგზავნოს ფოთის 11 უბნის გამგეს გ. თურქიას ცნობისათვის და სამსახურის სიის შესადგენად.

№ 5.

ინიშნება ქ. ახალ-სენაკის მცხოვრებელი ვასასი ალექსანდრეს ასული დგებუაძისა ქ. ფოთის მეორე უბნის სამომრიგებლო სასამართლოს მდივნის მოადგილეთ პირველ მარტიდან 1920 წ. და იქნეს გამწესებული სამუშაოთ ყრილობის კანცელარიაში.

გამოირიცხება სამსახურიდან ყრილობის გზირი კონონი მიქელაძე 5 მარტიდან 1920 წ. სიკვდილის გამო.

№ 6.

სამსახურის საჭიროებისათვის პირველ ამა მარტიდან ფოთის მეორე უბნის სასამართლოს ბოქაული ლავრენტი თოფურიძე გადაყვანილ იქნეს სენაკის უბნის სასამართლოს ბოქაულად, სენაკის უბნის ბოქაული ბენედიკტე ბაკურაძე ფოთის 1 უბნის სასამართლოს ბოქაულად და ფოთის პირველ უბნის ბოქაული ბესარიონი ნოდია ფოთის მეორე უბნის ბოქაულად. ასლი ამ განკარგულებისა გაეგზავნოს ზემოხსენებულ ბოქაულებს შესასრულებლად და ფოთის და სენაკის მომრიგებელ მოსამართლეთ ცნობისათვის.

სამეგრელოს მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე **ვლ. ჩაჩიბაია.**

გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.

1.

სახაზინო რკინის გზათა კომენდანტის მოვალეობას რესპუბლიკის რკინის გზათა ლიანდაგისა და ყველა შენობის დაცვა შეადგენს.

2.

აღნიშნულ მიზნის განხორციელების დროს კომენდანტს, როგორც პირდაპირ უფროს, ემორჩილებიან რაიონული გვარდია და რესპუბლიკის ყველა ჯავშნიანი მატარებელი.

3.

რკინის გზის კომენდანტის განკარგულებას პირდაპირ ემორჩილებიან ის გვარდიელნი, რომლებიც მთავარი შტაბის განკარგულებით გამოწვეულნი არიან რაიონულ შტაბების მიერ რკინის გზის ლიანდაგის და ხელოვნურ ნაშენებთა დასაცავად.

4.

ლიანდაგის სამსახურის ხაზზედ ყველა მოსამსახურე, როგორც გზის ხელოსნები, აგრეთვე გვირაბისა და ხიდების დარაჯნი, ვალდებულნი არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სადამცველო რაზმის მოხელეთ და დაუბრკოლებლივ აასრულონ ყველა ის განკარგულება რკინის გზის კომენდანტისა, რომელნიც რკინის გზის შენობათა დაცვას ეხებიან.

5.

რკინის გზის კომენდანტს უფლება აქვს, საჭიროების მიხედვით, დამცველი რაზმის გასაძლიერებლად და ან სასწრაფო ზომების მისაღებად დაკისრებულ, რკინის გზის შენობათა დაცვის უზრუნველსაყოფად, რკინის გზის მილიცია მოიხმაროს, რომელიც ვალდებულია, დაუგვიანებლივ, აღმოუჩინოს ყოველგვარი შემწეობა რკინის გზის კომენდანტს.

6.

რკინის გზის კომენდანტს უფლება აქვს გააძევოს რკინის გზის მიდამოებიდან ესა თუ ის პირი, მათ შორის რკინის გზის მოსამსახურენი, თუ კი საფუძვლიანი ეჭვები აღეძვრება, რომ ესა თუ ის პირი ან მოსამსახურე ბოროტგანზრახვით რაიმე ზიანის მიყენებას უპირებს რკინის გზის ხაზს ან შენობას. ყოველი ასეთი შემთხვევა, საფუძვლის ჩვენებით, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს, როგორც რკინის გზის მოსამსახურის უახლოეს უფროსს, აგრეთვე სახაზინო რკინის გზათა უფროსს.

7.

დამნაშავენი რკინის გზის ხაზის და შენობების გაფუჭებასა და დანგრევაში, აგრეთვე ზიანის მიყენების განზრახვაში შენიშნულნი, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცენ რკინის გზის მილიციას, რომელიც ვალდებულია მისცეს მათ საქმეს მსვლელობა, თანახმად კანონის სათანადო მუხლებისა.

ნ. კახეთის უ-ს, რკინის გზების კომენდანტს ბ. გოგვაძეს და მილიციის უფროსს.

აღნიშნული ინსტრუქცია მიღებული და დამტკიცებული მთავრობის 26 ამა აპრილის სხდომაზე გეგზავნებათ ცნობად და სახელმძღვანელოდ.

ნ. და უ-ს ვსთხოვ გამოაცხადოს მთელ ხაზზე. 8 მაისი 1920 წ. № 1809.

გზათა დეპ. დირექტ. **ჭეჭინაძე.**

ARA OFICIALURI GANCXOFILEBA

მთავრობაში

29 მაისის სხდომა.

დაესწრენ: ბბ. ნ. რამიშვილი, გეგეჭკორი, ლორთქიფანიძე, ხომერიკი, ერაძე, არსენიძე, ანდრონიკაშვილი, ავალიანი, ნ. ჭიჭინაძე, გედევანიშვილი, ცინცაძე, ჭავჭანიძე, ბ. ჭიჭინაძე. საქმეთა მართველი კ. ჯაფარიძე. მდივანი დ. ლომთაძე.

ავანსის გაცემა.

ნებადართულ იქნეს მე-11 ათასეულის განკარგულებაში ავანსათ 75,000 მან. გაცემა სანოვაგის შესაძენად და პურის გამოსაცხობად.

ასიგნობებით ფულის მიღების წესი.

განაღდებულ იქნას მომავალი საბიუჯეტო წლის პირველ სექტემბრამდე ყველა უწყებების მიერ 31 მაისის და წინა რიცხვების თარიღით გაცემული და სახელმწიფო კანტროლის მიერ დამტკიცებული ასიგნობები.

კანონ-პროექტის მიღება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი სამრეწველო (საკლავ) საქონელზე არსებულ გადასახადის გადიდებისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ერთდროული დახმარების აღმოჩენა.

გადაიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში 10,000 მან. ათ მილიონიან ფონდიდან პარტახტიან ტიფისაგან გარდაცვალებულ ფერშალ ყარამან ლოლელიანის ოჯახობისათვის ერთდროული დახმარების აღმოსაჩენად.

საქართველოს მოქალაქეთა მიერ ტიტულის ხმარების შესახებ.

საქართველოს მოქალაქეთა გვარებს არ უნდა ეწერებოდეს ძველი წოდებრივი სახელი: თავადი, აზნაური და სხვა.

დამატებითი აქციზისაგან განთავისუფლება.

აფთიაქთა კავშირის კოოპერატივ „ზაკო"-ს მიერ შეძენილი 234 ვედრო სპირტი განთავისუფლდეს დამატებითი აქციზის გადასახადისაგან, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს სპირტი გადაეცემა ჯარისა და გვარდიის საექიმო-სასანიტარო განყოფილებას, ეროობებს, ქალაქებს და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

აფხაზეთის კულტურულ მამულების შესანახად თანხის გაღება.

გადაიდოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში 3,675,627 მან. 20 კაპ. დამფუძნებელი კრების ა. წ. მაისის 11-ის დეკრეტით ამავე სამინისტროს განკარგულებაში სამეურნეო-საოპერაციო ხარჯის დასაფარავად გადადებულ 43,701,848 მანეთიდან აფხაზეთის კულტურულ მამულების: „გულრიპში", „იგუმენოვო", „კოლხიდა", „დიოხკურია" და „სინოპის" შესანახად.

სახელმწიფო სტიპენდიანტებისათვის ფულის მიცემის შესახებ.

მიეწეროს საქართველოს დელეგაციას ევროპაში მისცეს თავის თანხებიდან სახელმწიფო სტიპენდიანტ სტუდენტებს ერთი თვის განმავლობაში მათთვის საჭირო ფული. გაწეული ხარჯები დელეგაციას აუნაზღაუროს განათლების სამინისტრომ მის განკარგულებაში, ამ საჭიროებისათვის, არსებულ კრედიტებიდან.

იუსტიციის სამინისტროში

ინსტრუქცია მილიციისათვის

სასამართლო პალატის პროკურორმა მ. ა. ტატიშვილმა შეადგინა სახელმძღვანელო ინსტრუქცია ქალაქის, რკინის გზის და მაზრის მილიციის მოხელეთათვის. ინსტრუქცია გამოიცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და დაურიგდა სათანადო სამმართველოებს.

დამცველი რაზმი

იუსტიციის სამინისტრო ადგენს სასწრაფოდ საგანგებო ათასეულს, რომელმაც უნდა იკისროს საპყრობილეების გარეგანი დაცვა. ათასეულის უფროსად დაინიშნა პოლკ. ივ. ჭიჭინაძე. ათასეული პირველად გამოვიდა მაისის 26-ის პარადზე.

შ. მაღლაკელიძის საქმე

ყოფილ ადმინისტრაციის ინსპექტორის შ. მაღლაკელიძის და სხვათა საქმე დანიშნულია განსახილველად ტფილისის ოლქის სასამართლოში, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, ივლისის 5-ს.

სამხედრო სასამართლოს გადატანა

იუსტიციის მინისტრმა რ. მ. არსენიძემ განკარგულება გასცა, რათა რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო გადატანილ იქმნას სასამართლო უწყების შენობაში სასამართლოს ქუჩაზე.

სესია

გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია ახალციხე-ახალქალაქში.

საპყრობილეთა გაუმჯობესება

იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით საპყრობილეთა ინსპექცია შეუდგა საპყრობილეთა შენობების რადიკალურ გაუმჯობესებას. პირველ ყოვლისა გარეგნულად მოწესრიგებულ უნდა იქმნას ტფილისის № 1 საპყრობილე (ორთაჭალაში), უკანასკნელი ზვითა სართულიდან ტუსაღები სხვა სართულებში არიან გადაყვანილი და სწარმოებს სწრაფი მუშაობა სართულის რემონტისათვის და გადაკეთებისათვის, შემდეგ გადაკეთდება სხვა სართულებში მოთავსებული კამერები. მთელის ციხის შეკეთება ერთ თვეში უნდა იქმნას დამთავრებული,

ტუსაღების ჩხრეკა

პარასკევს, მაისის 28-ს, ღამით მოხდა ჩხრეკა ტფილისის № 1 საპყრობილეს ტუსაღებისა, გაჩხრეკილ იქმნა მთელი ციხე. აღმოაჩინეს მრავალი ტუსაღების მიერ გადამალული საგანი, მათ შორის სამსხვრევი იარაღიც.

საპყრობილეთა დათვალიერება

შაბათს, მაისის 29-ს. იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორმა გ. თ. ჟორდანიამ ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის მ. ს. ჯანდელაკის თანხლებით დაათვალიერა ტფილისის საპყრობილეები.

სიკვდილით დასჯა

როგორც სოხუმის მილიციის უფროსი დეპეშით იუწყება სოხუმის სამხედრო-საგანგებო სასამართლომ ოჩემჩირეში ქაჯაიას და გალიმატკოვს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქმნა წარსული მაისის 30-ს დილით.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

ინსტრუქტორების გაგზავნა კახეთში

მიწათ-მოქმედების სამინისტრო კახეთში გზავნის ინსტრუქტორებს ადგილობრივ ვენახების სენის შესასწავლად, დაკვირვებათა და გამოკვლევათა საწარმოებლად და მის წინააღმდეგ ზომების მისაღებად. ამ მიზნით არსდება კარდანახის სახელმწიფო მამულში პარიზის ფხვნილის საწყობი, რომლითაც უნდა უწამლონ სენით დაზიანებულ ვენახებს. ფხვნილი გაიყიდება ადგილობრივ კოოპერატივების და თემების საყუალებით.

სპეციალურ კომისის გაგზავნა

მიწად-მოქმედების სამინისტრო ამ დღეებში კახეთში გზავნის სპეციალისტ-აგრონომებისგან შემდგარ სპეციალურ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს კახეთში მოსულ სეტყვისგან დაზარალებულ რაიონების დახმარების აღმოჩენა. ამ მიზნით თელავის ეროობისთვის გადადებულია თანხა საჭირო სათესლე სიმინდის შესაძენად. კომისიას დაევალა სახელმწიფო მამულების ზარალის რაოდენობის გამორკვევა.

დამფუძნებელი კრება

1 ივნისის სხდომა.

(დასასრული).

ლ. შენგელაია. ძველი რეჟიმის დროს სენატი იცავდა ბიუროკრატიულ კანონებს. ბიუროკრატია კი ცდილობდა სასამართლო დამოუკიდებლობა გაეუქმებინა. ეს იყო ძველად და გვეგონა ასეთ მოვლენას ადგილი არ ექნებოდა. სენატის წინააღმდეგ გაილაშრა ქუთაისის „სოც. დემოკრატმა". იქ ეწერა სენატი შეუწყობს ხელს ანტიდემოკრატიულ სულის გამეფებასო (კ. ნინიძე: ეგ იყო აზრი ერთი ამხანაგის და არა მმართველ პარტიისა). სენატორთა ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა მეტად ცუდია. რამდენიმე სენატორმა გაანება თავი სამსახურს, რომ ჯამაგირით არ არიან უზრუნველყოფილნიო. სენატს არ აქვს თავის საკუთარი კასა. მისი კრედიტები იუსტიციის სამინისტროს ხელშია სენატის დებულების თანახმად სენატს არ აქვს უფლება დაწესებულებათა რევიზია მოახდინოს. მთავრობა კი ავალებს ამა თუ იმ სენატორს რევიზია მოახდინოს, რევიზიის დანიშვნის უფლება ან თვით სენატს უნდა მიენიჭოს ან და დამფუძნებელ კრებას. იუსტიციის მინისტრი ერევა სენატის ფუნქციებში. პალატის პროკურორმა განაცხადა ამ დღეებში მოსამართლეთა ყრილობაზე სენატი ხელს გვიშლის ვიმუშაოთო. იუსტიციის მინისტრს მიუწერია ერთ მომრიგებელ მოსამართლესთვის შეაჩერე ეს საქმეო, მეორე მომრიგებელ მოსამართლეს კი წინადადება მისცა სამსახურიდან გადიო.

რ. არსენიძე (იუსტიციის მინისტრი). სენატის მოხსენებას არ ესაჭიროება მინისტრის დაცვა. აქ იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სამინისტრო ავიწროებს სენატსო. მე უნდა განვაცხადო, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ყველანი, იქნება იგი მინისტრი, მისი თანაშემწე თუ სხვა ასრულებენ სენატის დადგენილებას. მიუხედავათ იმისა ეთანხმებიან თუ არა სენატის ამა თუ იმ განმარტებას. ერთი არის აზრი სენატის ამა თუ იმ დადგენილების შესახებ. მეორე არის ასრულება მისი. და ვერავინ ვერ იტყვის, რომ სენატის დადგენილება შეჩერებულ ყოფილიყვეს. აქ ამბობდენ სენატორები არ არიან მატერიალურად უზრუნველყოფილნი, მათ არ აქვთ თავისი საკუთარი კასა, ამ მხრივაც სამინისტროს ემორჩილებიან. ნუ თუ დამოკიდებულება ამაში გამოიხატება, რომ სენატორი იმავე კასიდან იღებდეს ჯამაგირს რომლიდანაც იღებენ სამინისტროს მოხელენი? მაშ მინისტრი, რომელიც იღებს ამა თუ იმ კასიდან ჯამაგირს დამოკიდებული ყოფილა კასირიდან. თუ ასე გავყევით საჭირო იქნება სენატისათვის ცალკე ბიუჯეტის დაარსება. მაშინ საკუთარი კასა უნდა დაიარსოს ოლქის სასამართლომ, პალატამ, რადგანაც თქვენ ამაში ხედავთ დამოკიდებულების გაუქმებას. ეს არ არის პრინციპიალური საკითხი და ამით ამა თუ იმ ორგანოს დამოუკიდებლობა არ განისაზღვრება. აქ სთქვეს მთავრობის თავმჯდომარემ სენატორის რევიზია დანიშნა და ეს კი თვით სენატის კომპეტენციაში უნდა შედიოდესო. სანამ სენატის დებულებას მივიღებდით ვამოცემული იყო კანონი, რომლის თანახმადაც მთავრობის თავმჯდომარეს ევალებოდა თავის შეხედულებისამებრ რევიზიის დანიშვნა. ეს კანონი არ ყოფილა გაუქმებული და იგი ძალაში არის. რევიზია, რომელიც ინიშნება მთავრობის თავმჯდომარის მიერ დამოუკიდებელია. რევიზორს თვით კანონი ანიჭებს ფართე უფლებებს და ის არავისაგან დამოკიდებული არ არის და ეს საქმითაც დამტკიცდა და მოხდენილმა რევიზიებმა ყველამ კარგი შედეგები მოგვცა. შენგელაიას ჰგონია მთავრობა თვითონ ნიშნავს რევიზორებს და თვით რევიზიის გარეშე რჩებაო. მთავრობას ყავს რევიზია, ეს არის ხალხის ნდობით აღჭურვილი დამფუძნებელი კრება, რომელსაც შეუძლიან მთავრობის გადაყენებაც, პასუხისგებაში მიცემაც და სხვა. აქ სთქვეს მთავრობამ სენატორს გამომძიებლის ფუნქციები დააკისრაო. ეს არ არის მართალი. რევიზორი დანიშნული მთავრობის მიერ თავისუფალია. ვისაც უნდა დააკისრებს გამომძიებლის ფუნქციას და როგორც თვითონ მიაჩნია საჭიროდ ისე დაიწყებს საქმეს. მე მისაყვედურეს სენატის წინააღმდეგ ხარო და ამას ასაბუთებენ იმით, რომ თქვენმა პალატის პროკურორმა ყრილობაზე განაცხადა სენატი ხელს გვიშლისო. მერე რა არის აქ, ერთმა წევრმა სასამართლოს უწყებისამ სენატის დებულების წინააღმდეგ გაილაშქროს. განა ჩვენ აზრთა სხვა და სხვაობა უნდა დავახშოთ. აზრის გამოთქმის უფლება უნდა მოესპოთ სასამართლოში? ყველანი, რომ ერთ გვარათ მსჯელობდენ ეს იქნებოდა სწორედ დამოკიდებულება. აქ სთქვეს მინისტრი ერევა მოსამართლეების საქმეში და ერთ მოსამართლეს მისწერა კიდეც საქმე შეაჩერეო. გაუგიათ ზარის ხმა და არ იციან კი საიდან მოისმის იგი. როგორც გახსოვთ აქ მიღებულ იქნა დეკრეტი შინაურ ნასყიდობით ნაყიდ მიწების დამტკიცების შეჩერების შესახებ. როდესაც მე შევიტყვე, რომ ზოგიერთი მოსამართლენი წინააღმდეგ ამ დეკრეტისა მოქმედობდენ და რადგანაც მიღებული დეკრეტი არ იყო დაბეჭდილი მე ყველა მოსამართლეებს დეპეშით ვაცნობე არსებული კანონი და ეს ასეც უნდა მოხდეს. ჩემი მოვალეობაა, რომ ყველა მოსამართლემ იცოდეს ის კანონი, რომელიც იცემა დამფუძნებელ კრების მიერ და თუ ვინ როგორ არჩევს ამა თუ იმ საქმეს ეს მე აღარ შემეხება და არც ვერევი. აქ სთქვეს აგრეთვე, რომ მინისტრმა ერთ მოსამართლეს წინადადებით მიმართა სამსახურიდან გადადექიო. დიახ, საქმე შემდეგში იყო. ერთ მოსამართლეს ჩადენილი ჰქონოდა სისხლის სამართლის დანაშაული. მას ეძებდა სასამართლო და როდესაც ეს გამოირკვა მე წინადადებით მივმართე და ურჩია გადამდგარიყო თანამდებობიდან და წარსდგომოდა სასამართლოს. მან ეს არ მოისურვა და მე მისი საქმე სენატს გადავეცი. შესაძლებელია ფორმალურადაც არ ვიყო მართალი, მაგრამ მორალურად, პოლიტიკურად აქ ყოველ მხრივ ჩემს მხარეზეა სიმართლე. მე არ მინდოდა პოლიტიკური სკანდალი მოხდენა, ახალ ინსტიტუტისთვის სახელის გატეხა, არ მინდოდა იმ ინსტიტუტისათვის, რომელიც თვით ხალხის წიაღიდან არის გამოსული და რომელთაც ხალხის წარმომადგენლები ირჩევენ. აქ სთქვეს ფრაქციაში მინისტრებს უსაყვედურებენ წევრები, იქ შეხლა-შემოჯახებას აქვს ადგილი აქა კი გამოდიან და ყველაფერს უწონებენო. დიახ, ჩვენ იქ დიდი სიამოვნებით მივიღებთ საყვედურს, იქ გვიჩვენებენ იმ გზას, რომლითაც უნდა ვიაროთ, აქ კი გამოვდივართ, როგორც მთლიანი მიმდინარეობა, რომელმაც წამოაყენა მთავრობა და რომელიც პასუხისმგებელია თქვენს წინაშე. (ტაში)

გრ. ვეშაპელი. აღნიშნავს, რომ სენატმა ვერ გამოიჩინა საჭირო აქტივობა. ახალციხის რევიზია მეტად ჩქარა დასრულდა და ბევრმა ვერ მოასწრო საჭირო მასალების შიწოდება. ახალქალაქში რევიზია არ მოახდინეს და ეს კი მით უფრო საჭირო იყო. ახალქალაქი მოწყვეტილია ცენტრს და როგორც ყველა განაპირა კუთხეში უკანონობას მეტი ადგილი აქვს. სენატს დააკისრეს რევიზია, მან ეს არ იკისრა, სენატის დებულებას ეწინააღმდეგებაო. მთავრობის დავალებით სენატორები ახდენენ რევიზიას და ამით ისინი საგანგებო მოხელეებათ გადაიქცევენ. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, თვით სენატი, როგორც როგორც ესეთი ყოფილიყო რევიზიის ხელმძღვანელი. ეხლა კი სენატორები ემორჩილებიან სამინისტროებს.

ორატორი თავის სიტყვას დაასკვნის იმით, რომ სენატს მიენიჭოს კანონით ყველა დაწესებულებათა რევიზიის უფლება.

ა. ჯაფარიძე (სენატის თავმჯ. ამხანაგი). აღნიშნავს, რომ სენატმა ორი თვის განმავლობაში ბევრი საქმე გააკეთა. თუ სასამართლოს დაწესებულებათა რევიზია არ მოხდა ეს იმიტომ, როგორც აქ ვანაცხადა მომხსენებელმა, რომ უცდიდით მასალების დაგროვებას ზაფხულამდე. მოხდა ახალციხის მაზრაში მართვა-გამგეობის რევიზია, ახალქალაქში სასამართლოს რევიზია, სენატის მიერ მონდობილი მქონდა მე, სადაც დიდი თოვლების გამო გამგზავრება შეუძლებელი იყო. აქ სთქვეს სენატორები გადაიქცნენ მთავრობის თავმჯდომარის მოხელეებათო. ეს არ არის მართალი. მდივნის კანონის თანახმად მთავრობის თავმჯდომარეს ევალება თავის შეხედულებისამებრ დააკისროს ამათუ იმას რევიზიის მოხდენა. რევიზორი დამოუკიდებელია და ის არავისაც არ ექვემდებარება. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სენატი დამოკიდებული ყოფილიყოს ვისმესგან და ეს არც მომავალში იქნება.

ხ. ჯაფარიძე. უპასუხებს რა ოპონენტებს, აღნიშნავს, რომ სიმართლეს მოკლებულია მათი მტკიცება, რომ მართველ პარტიას სენატი ბუშათ მიაჩნდეს, ასე რომ ყოფილიყო საქმე არც შემოიღებდა სენატს. ამაში მას ძალას არავინ ატანდა, იტყოდა ეს რევოლუციის ხანაში არ არის საჭიროვო და არც იქნებოდა სენატი. ვეშაპელი იძახის სენატს პატივი უნდა ვცეთო და მთელი მისი ლაპარაკიდან კი გამოირკვა ის, რომ იგი პატვის არ სცემს სენატს. ვეშაპელი ამბობს სენატი პასიური გამოდგაო. მას ჰქონ და რევიზიის უფლება და ამით არ ისარგებლა მან. სენატის დებულებაში ამკარად არის ნათქვამი, რომ სენატს უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს უწყებათა რევიზიის. და სენატმა კანონიერათ განაცხადა, რომ მას არ აქვს უფლება სხვა დაწესებულებათა რევიზია მოახდინოსო.

სენატის წევრთა მატერიალური მხარის გაუმჯობესება მმართველ პარტიის მიერ არის დასმული, რევიზიის საკითხიც გადასინჯულ იქნება.

შემდეგ ამისა ორატორი ამტკიცებს, რომ სენატის საქმეებში არავინ არ ერევა და იგი სრულიად დამოუკიდებელი ორგანოა.

კამათი შეწყდა. მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: მოისმინა რა სენატის 1919 წ. ანგარიში, დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს კმაყოფილებას სენატის მოღვაწეობით და გადადის მორიგ საკითხებზე.

დამფუძ. კრების წევრის გრ. ურასტაძის ნაამბობი.

როგორ შეხვდნენ საზავო წინადადებას

მოსკოვში ჩამოსვლის მეორე დღესვე მე ვინახულე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი და მისი მოადგილე კარახანი, რომელთაც გავაცანი ჩემი მისია და რწმუნებანი. ჩემს წინადადებას ისეთის თანაგრძნობით შეხვდნენ, რომ მეორე დღესვე შესაძლებელი გახდა არსებითად მოლაპარაკების დაწყება.

პირველ სხდომაზედვე გამოირკვა, რომ ორივე მხარეს გულწრფელად სურს ზავის ჩამოგდება და არც ერთი მხარე არ აპირებს მეორე მხარის ინტერესების ან დემოკრატიული ზავის ძირითად პრინციპების საწინააღმდეგო მოთხოვნილებათა წამოყენებას. ასეთი, ორივე მხრით საერთო შეხედულების გამორკვევის შემდეგ, სავსებით შესაძლებელი იყო რამდენიმე სხდომაზე მოლაპარაკების დამთავრება და საზავო ხელშეკრულების პირობათა შემუშავება.

ხელშეკრულება დამყარებულია დემოკრატიულ პრინციპებზე

ეს ხელშეკრულება, რომლის სრული ტექსტიც ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული ტფილისში, სრულიად განსხვავდება ყველა სხვა ხელშეკრულებათაგან, სწორედ იმით, რომ იგი აშენებულია მტკიცე დემოკრატიულ პრინციპებზე.

ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავდნენ როგორც საბჭოთა პრესა, ისე რუსეთის ყველა სხვა დემოკრატიული წრეები.

როგორ შეხვდა საბჭოთა პრესა და მუშები ხელშეკრულებას.

საქართველოსთან ზავის ჩამოგდების გამო „პრავდა“ სხვათა შორის სწერდა: „7 მაისს ხელი მოაწერეს ზავს საქართველოსა და რუსეთს შორის. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ჩამოვიდა პატარა „ჩემოდანით“, ინახულა ამხ. ჩიჩერინი, მოილაპარაკეს და 2—3 სხდომის შემდეგ ზავი შეკრეს. საქართველოს წარმომადგენელმა ხელი მოაწერი საზავო ხელშეკრულებას და უკანვე გაემგზავრა. აი, რას ნიშნავს, როდესაც დემოკრატიებს გულწრფელად სურთ ზავი, რა ადვილად და ჩქარა გამოიძებნება საერთო ენა“.

საქართველოსთან ზავის დადებას თანაგრძნობის წერილი უძღვნა „ბედნოტა“-მაც.

განსაკუთრებულ თანაგრძნობით შეხვდნენ ზავს მოსკოვის მუშათა წრეები.

მე ვიყავი რამდენიმე უბანში, სადაც მუშებმა ჩემდამი დიდი თანაგრძნობა გამოხატეს, წრფელი სიხარული გამოსთქვეს ზავის ჩამოგდების გამო. მათ აგრეთვე დიდათ აინტერესებდათ ის, თუ რა ხდება ჩვენში და მრავალ კითხვებს მაძლევდენ საქართველოს მდგომარეობის, ჩვენი ცნობილი პარტიულ მოღვაწეთა, როგორც მაგ., ჟორდანიას, წერეთელის და ჩხეიძის და სხვათა შესახებ.

ყალბი ინფორმაცია.

მე რასაკვირველია, ვცდილობდი შეძლებისდაგვარად დაწვრილებით გამეცნო მოსკოვის წრეებისთვის ჩვენში საქმის გარემოება. სამწუხაროდ, რუსეთში ჩვენ შესახებ ან არაფერი იციან, ან კიდევ—თუ აქვთ რამე ცნობები, სრულიად დამახინჯებული და ყალბი. ჩემი დაწვრილებითი ცნობებისთვის ჩვენი მუშაობის, ჩვენი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის და ჩვენში გატარებულ რეფორმის შესახებ პირველად არ სურდათ დაეჯერებინათ—იმდენათ მოწამლულია რუსეთის დემოკრატიულ წრეების საზოგადოებრივი აზრი ჩვენს შესახებ ყალბი ინფორმაციით. მათ იმის დაჯერებაც კი არ სურდათ, რომ ჩვენში მოხდენილია მემამულეთა მიწების კონფისკაცია.

მოსკოვი და ადერბეიჯანი.

არ შეიძლება ითქვას, რომ ადერბეიჯანი მოქმედებდეს მოსკოვის დირექტივებით. პირიქით, მოსკოვიდან ბრძანება გამოიგზავნა ბაქოში, რათა შეეწყვეტათ ყოველგვარი სამხედრო მოქმედება საქართველოსთან. საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა ადერბეიჯანის შორის დამოკიდებულება ჯერ კიდევ სულ გამორკვეული არ არის. საბჭოთა რუსეთი არ უარყოფს ადერბეიჯანის ავტონომიას. ადერბეიჯანის აგრესივობის მიზეზი არიან კერძო პირები და შეიძლება ჯგუფებიც, რომლებიც თავის საბჭოთა პოლიტიკას აწარმოებენ კავკასიაში. ვიმეორებ, მოსკოვი გზავნიდა ბაქოში კატეგორიულ ბრძანებას საქართველოსთან ზავის შესახებ და აცნობა ბაქოს საბჭოთა მთავრობას იმ შეთანხმების შესახებ, რომელიც მოხდა საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის.

მე არ ვფიქრობ, რომ მოსკოვის გავლენა ბაქოზე უნაყოფო აღმოჩნდება.

ყუბანში და დონში.

მე გამოვიარე ყუბანისა და დონის რაიონი, რომელსაც დაღლილობისა და ნგრევის კვალი აჩნია, ამბოხება კი არ შემიმჩნევია და არც არაფერი გამიგონია. დონისა და ყუბანის ძირითადი მცხოვრებნი უფრო აპატიას განიცდიან ვიდრე ბრძოლის ხანას.

საბჭოთა რუსეთის შინაური მდგომარეობა.

რევოლიუციის ხანაში საზოგადოთ ძნელია ლაპარაკი რომელიმე ხელისუფლების სიმტკიცეზე.

კერძოთ კი შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკებს აქვთ ერთგვარი წესრიგი. საერთოთ ემჩნევა მტკიცე ხელისუფლება და შინაური დისციპლინა.

სურსათი ზოგან ბევრია, მაგ. სარატოვში, და ყუბანში ბევრი პურია, ზოგან კი სულ ცოტაა. ამის მიზეზი უმთავრესათ არის ტრანსპორტის უწესრიგობა. მოსკოვში სურსათის დიდი კრიზისია. $2^1/_2$ მილიონ მცხოვრებიდან იქ დარჩა მხოლოთ 700.000 მკხ. მთელი ბურჟუაზია გავიდა მოსკოვიდან. ერთი ქალაქიდან მეორეში წასასვლელად განსაკუთრებული მოწმობაა საჭირო, რაც ძალიან აძნელებს მიმოსვლას.

ტრანსპორტის მოწყობა-მოწესრიგებას უმთავრესი ყურადღება მიაქციეს და პირდაპირ სამხედრო ზომებით და ბრძანებით გაჰყავდათ ცხოვრებაში ყოველგვარი ზომა ამ მხრით მიმართული. სანიმუშოთ საკმარისია მოვიყვანოთ ტროცკის ბრძანება ინჟენერების შესახებ: „Инжинеры-Путейцы—Маршь на линію“. ასე სწერდა „პრავდაც“. და აი ყველა ინჟენერები იმავე წუთში გაიფანტნენ გზებზე. ამ ბრძანების აუსრულებლობა, ან რაიმე მომიზეზება,—ეს მეტად სახიფათო და სარისკო საქმეა. ამგვარმა ზომებმა გასჭრა და მრავალ ადგილას გზები და აფეთქებული ხიდები აღადგინეს. და რომ პოლონეთის ფრონტი არა, ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდებოდა. ახლა კი ეს მუშაობა მეტად მინელდა. დეპოებში და სახელოსნოებში შემოღებულია მუდმივი მუშაობა. გარდა ამისა, „სუბოტნიკები“ და „შრომის კვირეები“ დრო მუშაობისა რვა საათიდან ათ საათზე და ზოგან თოთხმეტზე ავიდა.

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი

პოლონეთის ფრონტზე პირველ ხანებში საშიში მდგომარეობა იყო. იქ იდგა მხოლოდ ერთი დივიზია, რომელმაც ფრონტი დასტოვა და პოლონელებს მიემხრო. ეს დივიზია შესდგებოდა უმეტესად პოლონელებისაგან და ითვლებოდა საბჭოს მომხრეებათ. რაკი ფრონტი გაირღვა, წინსვლა არც ისე ძნელი იყო. ამას მოჰყვა მთელი რიგი ქალაქების და მათ შორის კიევის აღებაც. პოლონელების ჯარს შეუერთდა, როგორც იცით, პეტლიურა.

პოლონეთის ფრონტმა მეტად დააფიქრა საბჭოთა მთავრობა. ამიტომ იყო, რომ ის თანახმა იყო ყოველგვარ პირობებზე, რომ ომი შეწყვეტილიყო. ის ადვილათ დასთანხმდა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებაზე. კიდევ მეტი,—ის თანახმა იყო 72 წლის საზღვრებზედაც. ბოლოს იმაზედაც დასთანხმდა, რომ მოლაპარაკება დაეწყო მაშინაც კი, როცა ომი ფაქტიურად გრძელდებოდა მთელ ფრონტზე, შესწყდებოდა მხოლოდ იმ ადგილას, სადაც საზავო დელეგაციის სხდომები იქნებოდა. ეს იყო წინადადება პოლონეთის და საბჭოთა მთავრობა ამაზედაც დასთანხმდა, მიუხედავათ ამისა, მოლაპარაკება მაინც არ მოხერხდა. მას შედეგათ მოჰყვა ომის გამოცხადება და ბალშევიკებმაც მთელი თავის ძალები და ენერგია ამ ფრონტისაკენ მიმართეს.

ეკონომიური მდგომარეობა.

ამდენი ხნის ომმა მთელი რუსეთი გაანადგორა. მთელი ეკონომიური ცხოვრება ისე აწეწილია, რომ მისი დაწყობა-დალაგება მოითხოვს ზღაპრულ ენერგიას და თავგანწირვას. ბალშევიკები შეეცადნენ ამ მხრით მუშაობას და როგორც იცით, შექმნეს მთელი რიგი ახალი ინსტიტუტებისა, რომლის განკარგულებაში იყო მთელი სამუშაო ძალა. შრომის მილიტარიზაცია, კაზარმული ბრძანება და საშინელი სისასტიკე დავალების ასრულებაში—ყოველივე ეს მიმართული იყო სამეურნეო ცხოვრების მოწყობისაკენ.

რა მდგომარეობაშია ინტელიგენცია.

ინტელიგენციასთან დამოკიდებულება ძირიანათ შეიცვალა, განსაკუთრებით სპეციალისტებთან. სპეციალისტებს ახლა დიდ პრივილეგიებს აძლევენ და უდიდეს ჯამაგირსაც უნიშნავენ. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ დიდიხნის უკულმართი ქადაგების გამო მრავალ ადგილას სპეციალისტებს მუშები არ იღებენ, ან თუ იღებენ მეტად ეუნდოთ უყურებენ და მის ბრძანებას არ ასრულებენ. ამას დიდი გავლენა აქვს შრომის ნაყოფიერებაზე. ამის წინააღმდეგ სათანადო კომისარიატები სასტიკზომებს იღებენ ტ. თავისივე პარტიულ ამხანაგებს ხშირათ პასუხისგებაში აძლევენ. ყოველ შემთხვევაში, ხდება დიდი ცვლილება მრავალი საკითხების და ურთიერთობის ნიადაგზე. განსაკუთრებული სიღარიბეა ინტელიგენტური ძალების მხრით სოფლად.

დამოკიდებულება ქალაქი და სოფელს შორის.

დამოკიდებულება მეტად გამწვავებულია. სოფელი ქალაქს არაფერს აწვდის. ქალაქი დამშეულია. ამის შედეგია ამ დროისთვის შეუფერებელი მოვლენა. ქალაქები ჭკნება, ცალიერდება, სოფელი ძლიერდება, ფეხზე დგება. ეს მოვლენა რუსეთისათვის შეიძლება კარგიც იყოს. თქვენ იცით, რომ რუსეთის სოფელი მეტად ჩამორჩენილი იყო. ახლა მას შეემატა მრავალი ისეთი ძალები, რომლებიც შეგნებით გაცილებით მაღლა სდგას. ამას უკვე მოჰყვა, თუმცა სუსტი, მაგრამ მაინც კარგი ნაყოფი. სოფლებში გაჩნდა პატარა თეატრები, და ოდნავი მაინც ქალაქური ელფერი. საერთოდ სოფელი ამ ჟამად დიდ ცვლილებას განიცდის, ის დუმილშია და როგორ და რა გზით გაივლის ჯერ კიდევ გადაჭრით არ შეიძლება ითქვას.

საგანგებო ცნობა.

ტფილისი, ივნისის 3.

ხულო-დანისპარეულის რაიონში ბანდებთან შეტაკება გრძელდება. ამ ბანდების წინააღმდეგ ჩვენ ჯარებთან ერთად მოქმედებს რამდენიმე ასეული ადგილობრივი აჯარელიც.

სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

ახალი ამბები

(საინფორმაციო განყ. ცნობები)

მუშათა ყოფა-ცხოვრების გამორკვევა

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ინჟ. ბრიალოვსკი ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის დავალებით ეხლა არკვევს მუშათა ეკონომიურ მდგომარეობას მრეწველობის სხვა და სხვა დარგში. ბრიალოვსკიმ უკვე დაასრულა გამორკვევა თუთუნის მასთან სოფლის მეურნეობის, და ნაწილობრივ გილზის, წუმწუმის და ხიმიურ ნივთიერებათა მრეწველობისა. ეხლა ბრიალოვსკი კარაქისა და საპნის მრეწველობის გამორკვევას შეუდგა.

მდგომარეობა მცხოვრებთათვის.

ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილებამ მიიღო მანუფაქტურის დიდი პარტია. ეს მანუფაქტურა გაიყიდება სასურსათო განყოფილების საგანგებო სამანუფაქტურო მაღაზიებში თავისუფლებისა და კახეთის მოედანზე და საქართველოს რკინის გზის სამმართველოსთან.

ვალიუტის ბაზარი.

ს. ს. პალატის ოფიციალური დაფასებით 2 ივნისს ღირდა სტერლინგი: ა) ბანკნოტი—1,300 მან. ბ) ჩეკი—1,225 ფრანგ. ფრანკი: ა) ქაღალდის—24 მან. 50 კ., ბ) ჩეკი—19 მან. 50 კაპ. იტალიური ლირა: ა) ქაღალდის—16 მ. 50 კ. ბ) ჩეკი—15 მან. ავსტიური კრონა:—1 მან. 50 კაპ. ოსმალური ლირა: ა) ოქროსი—1530 მან., ბ) ქაღალდის—285 მან. ამერიკული დოლარი: ა) ქაღალდის—340 მან., ბ) ჩეკი—300 მან. გერმანული მარკა ქაღალდის—6 მან. 50 კაპ. ნიკოლოზის მანეთი: ა) ოქროსი 10 მანეთიანი—1850 მან., ბ) ქაღალდის 100 მანეთიანი—380 მან., გ) ქაღ. 500 მან.—1.800 მან., დ) ვერცხლის მანეთიანი—130 მან.

ბირჟაზე.

უცხო ვალიუტის ფასი, რომელიც ბირჟაზე არის, თითქმის არ განსხვავდება ოფიციალური „კოტიროვკიდან“. განსხვავდება მოთხოვნილებისა და მიწოდების მიხედვით.

იტალიის ლირის ჩეკებს ყიდულობდენ 15 მან. და 25 კ. ვერცხლის წვრილი ფული 12 მან. 40 მან. დონის ფული: პატარა კუპიურები წყლის ნიშნებით 22%, უნიშნოთ 16%. 5.000 იანი. 10%. მოხალისეთა მანეთი 1000 იანი კუპიურა 9%. 10,000 იანი—6 პროცენტი.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტის დამტკიცება.

საკონსტიტუციო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის პროექტი. დამფუძნებელი კრების მიერ მიღების შემდეგ კონსტიტუცია ერთდროულად დაიბეჭდება ქართულ, ფრანგულ რუსულ ენაზე.

ახალი კანონ-პროექტი.

მთავრობამ დამფუძნებელი კრების კომისიაში შემდეგი კანონ-პროექტები შეიტანა: 1) ჯანმრთელობის დეპარტამენტის ორგანიზაციის, 2) ჯარში გაწვეულთა ოჯახების დახმარების, 3) 120 მილიონი მან. გადადების შესახებ მუშათა და სახელმწიფო მოსამსახურეთა პირველ საჭიროების საგნების მოსამზადებლად, 4) ტფილისის სასამართლო პალატის შტატის გაფართოების შესახებ, 5) შარა გზათა სამმართველოს განკარგულებაში 14.812.691 მან. და 65 კაპ. დამატებითი კრედიტის გახსნის შესახებ და კანონ-პროექტი დეკრეტისა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.

ბინის გამქირავებელთა დაბეზღვრა.

ქალაქთა კავშირთან დაარსებულმა, ქალაქთა საბიუჯეტო უფლებათა გამომუშავებელმა კომისიამ მოიწონა პროექტი ცალ-ცალკე გაქირავებული ოთახებზე გადასახადის დაწესების შესახებ. თანახმად პროექტისა ეს გადასახადი უნდა გადაიხადონ აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველოების პატრონებმა, რომელნიც თავის სავაჭრო სადგომებს აქირავებენ.

გადასახადის რაოდენობა ისაზღვრება წინა წელს მიღებულ ოთახის ქირის ანგარიშიდან. თუ ბინის მეპატრონენი წლის განმავლობაში იცვლებოდენ, მაშინ გადასახადი მათში განაწილდება. გადასახადის რაოდენობა პროგრესიულია. გაქირავებულ ოთახიდან თუ ათჯერ მეტი ფასი აიღეს, ვიდრე მთელი ბინა ფასობს, მაშინ ზედმეტს კონფისკაციას უშვრებიან. საჭიროა ფასიდან გამოკლებულ იქნეს გასავალი: გათბობაზე, განათებაზე წყალზე, დგამზე და მოსამსახურეებზე.

სავალიუტო დამოკიდებულება ევროპასთან.

ღირებულებათა უფრო სწორ კურსის დასამყარებლად საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა სასწრაფო ზომებს იღებს, რათა ევროპის უმთავრეს ცენტრებში იყოლიოს კორესპონდენტები, რომელთა ვალდებულებაც იქნება რადიო-დეპეშებით ამცნონ მას ლონდონის, პარიზის, ნიუ-იორკისა და ბერლინის ფასი.

საფონდო ბირჟის ორგანიზაცია ტფილისში.

ამ მოკლე დროში ფინანსთა მინისტრის საბჭოში განსახილველად შევა ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან საფონდო ბირჟის წესდების პროექტი. ბირჟის ძირითადი მიზნებია: ურთიერთი დამოკიდებულება და პირობების შეკვრა და აგრეთვე ყველა სავაჭრო-სამრეწველო და სოფლის მეურნეობის დარგები, საფონდო ოპერაციებისა და საქონლის ვაჭრობის მოწესრიგება, აგრეთვე ყოველგვარი აუცილებელ ცნობათა და ჩვენების მიღება. ბირჟა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობაში იქნება.

თეატრალური ცხოვრება.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის არტისტები ამ დღეებშიტფილისიდან მიდიან ბოჯომს, სადაც ისინი 6 კვირამდის დაჰყოფენ. შემდეგ ამისა საახატვრო თეატრის არტისტები ტფილისში დასდგამენ რამეს თუ არა ჯერ არ არის გამორკვეული.

სიმფონიური კონცერტები ხახაზინის თეატრში.

სახელმწიფო თეატრის კომისარი იუწყება: ივლისის პირველ რიცხვებში სახელმწიფო თეატრში გაიხსნება სიმფონიური საღამოების მთელი წყება ჩეხური ორკესტრისა, რომელიც შეადგინეს პრაგაში და რომელსაც ახლო ხანში მოელიან ტფილისში. ჩეხურ ორკესტრის გასტროლების ორგანიზაციაში დიდ მონაწილეობას ღებულობდა ადგილობრივ მყოფი ჩეხო-სლოვაკიის მისია.

საოპერო სეზონი სახელმწიფო თეატრში სექტემბრის დამლევს გაიხსნება.

საქონლის შესახებ.

სავაჭრო ბაზარზე ფასის ძლიერ მერყეობის გამო სავაჭრო-სამრეწველო პალატას მიზნათ აქვს ამ დღეებში შეუდგეს—„საქონლის ფა-

სის ბიულეტენის" გამოცემას, რომელიც კვირაში სამჯერ გამოვა. ამასთანავე ერთდროულად ფიქრობენ გამოსცენ ორ კვირეული ჟურნალი „საქართველოს ვაჭრობისა და მრეწველობისა".

ლიტერატორთა შორის.

ტფილისში ჩამოვიდა დამსახურებული მწერალი დავით კლდიაშვილი.

საქართველოს მწერალთა კავშირმა იყიდა ნახევარი მილიონი მანეთის ქაღალდი. მიზნათ აქვთ ამ მოკლე დროში გამოსცენ ცნობილ ქართველ მწერალთა ნაწარმოები. ამას გარდა მწერალთა საბჭო ფიქრობს პერიოდულათ სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი გამოსცენ.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

სამხედრო ცნობები.

მოსკოვი. ბელოცერკოვის რაიონში ჩვენი ნაწილები სასტიკი ბრძოლის შემდეგ ბელაია ცერკვის სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 ვერსტზე მტერს ავიწროებენ.

საბჭოთა მთავრობა და ოფიცრები.

საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ცნობით ყოფილ ოფიცერთა სურვილი, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობას სავსებით დაემორჩილონ ბევრ შემთხვევაში ისპობა იმის შიშის გამო, რომ მათ წარსულში ხალხის წინაშე დანაშაული ჩაუდენიათ. მუშათა და გლეხთა მთავრობა ამიტომ საჭიროდ და დროულად სთვლის განაცხადოს: ყველა ის ყოფილი ოფიცერი, რომელიც ამა, თუ იმ სახით ხელს შეუწყობს ყირიმში, კავკასიაში და ციმბირში კიდევ დარჩენილ თეთრგვარდიელთა რაზმების საჩქარო ლიკვიდაციას და ამით შეამსუბუქებს და დააჩქარებს მუშათა და გლეხთა რუსეთის გამარჯვებას შლიახტურ პოლონეთზე, განთავისუფლებული იქნება პასუხმგებლობისაგან იმ მოქმედებისათვის, რომელიც მას ჩაუდენია ვრანგელის, დენიკინის, კოლჩაკის, სემიონოვის და სხვათა თეთრგვარდიაში ყოფნის დროს. ეს ცნობა ქვეყნდება საყოველთაოდ და საბჭოთა მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლები ყოველ სათანადო შემთხვევაში ამით იხელმძღვანელებენ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლენინი**, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი **ტროტკი**, სახალხო კომისარი **კურსკი**.

ფრანგული პრესა.

პარასკევს ვერსალში ხელს მოაწერენ საზავო ხელშეკრულებას უნგრეთთან.

მადაგასკარის გენერალ-გუბერნატორი გარბიტი ორშაბათს თავის სამსახურის ადგილს გაემგზავრება.

საბერძნეთის ჯარები განაგრძობენ ფრაკიის დაკავებას, რომელიც საბერძნეთის სამეფოს გადასცეს.

შერბურგში ბალტიის ზღვიდან მოვიდა 2 გერმანული კრეისერი „შტუდგარტი" და „გრაუდენცი" გერმანელი მოსამსახურეებით. ეს კრეისერები შეადგენს საფრანგეთისათვის დათმობილ გემების ნაწილს.

პოლონეთის მთავარი შტაბის სამხედრო ცნობა. ვარშავა. 1 ივნისი. 14 მაისს ბოლშევიკების მიერ დიდი ძალებით დაწყებული დიდი შემოტევა დვინისა და პრიპიატის შუა საბოლოოდ შევაჩერეთ. ჩვენმა ჯარებმა 27 მაისს დაიკავეს ბერეზინის ხაზი და მრავალ ადგილას სასურველად გადავიდენ შეტევაზე. 30 მაისს ჩვენი კონტრ-შეტევა პლეხენიჩისა (?) და კოზლენიჩის სექტორში სასურველად დასრულდა. ჩვენმა რაზმებმა რამდენიმე ასეული ტყვე წამოიყვანეს და რამდენიმე ზარბაზანი წამოიღეს. უკრაინაში კრისტინოვკა-ლიპოვიჩის რკინის გზის მიმართულებით ბუდიონის ჯარის შემოტევა, რომელმაც რამდენიმე დღეს გასტანა, უკუვაგდეთ და მტერი იძულებული იყო ვოლოდარკისაკენ დაეხია. ერთ ერთ ჩვენი ესკადრონის ცეცხლმა უკუაგდო მტრის ცხენოსანი ჯარი და მას დიდი ზარალი მიაყენა. ჩვენი შეტევის გავლენით ბუდიონის ჯარის ცხენოსანთა ერთი ბრიგადა ცხენებით ჩვენს მხარეზე გადმოვიდა.

ფრონტისათვის

მოწოდება.

„ბევრჯელ უნახავას ქართვლის მტერს, რომ ცოტაც ბევრის მძლევია; ცოტა ვართ მაგრამ კარგი ვართ, ვინც კია, ყველა დევია". ეს სიტყვები ჩვენი გმირი წინაპრების სამხედრო ანდერძია. დღეს ჩვენი გვარდია და ჯარი მტკიცედ ასრულებს ამ ანდერძს, იგი ცოტაა, მაგრამ ჩვენზედ მოზღვავებულ უამრავ მტრის ძალას უმკლავდება და სძლევს. ყველა ჩვენი ჯარის კაცი დევია. ეს დაამტკიცეს მათ ამ ორი წლის განმავლობაში. ჩვენ შინ დარჩენილთა მოვალეობაა ამ დევებს ფრონტზე გული გაუმაგროთ, ნუგეშის სიტყვა მივაწოდოთ, გული მოუფონოთ, სიძნელე ბრძოლისა შეუმსუბუქოთ და გაუადვილოთ.

ამიტომ ვავალებ, როგორც ჩემდამი რწმუნებულს ყრილობის მოხელე-მსახურთ, ისე კიდევ სამომრიგებლო უბნების მოსამართლეებს გაიღონ მცირე წვლილი ფრონტზე ომის ცეცხლში მყოფ ჩვენი გვარდიისა და ჯარისათვის, იმ გვარდიისა და ჯარისათვის რომლებიც თავისი გმირული მკერდით იცავენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რევოლიუციის მონაპოვარ თავისუფლებას, ჩვენს სუვერენობას, ამ ჩვენის მცირედის წვლილით მივაწოდოთ ჩვენს დევ-გმირებს პაპიროზი, ასანთი, საპონი, წინდები, გაზეთები, და სხვა რამ ამგვარები. ყველას შეუძლიან გამოუგზავნოს თვისი წვლილი ფულათ თუ ნივთებით ყრილობას და იგი გაუგზავნის კუთვნილებისამებრ.

გორის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე **ს. მგალობლიშვილი.**

საჩუქრები.

— გუშინ კიდევ გაიგზავნა ფრონტზე საჩუქრების მეორე ტრანსპორტი ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტისგან. ტრანსპორტი გაიგზავნა შემდეგ ადგილებში: სანდარაში, სადახლოში და ფოილოში. საჩუქრებს ჯარის კაცებს დაურიგებენ თვით ცენტრობანკის დირექტორი ნ. თავდგარიძე და ტფილისელი კომერსანტები: მ. ლაღიძე, გ. ნასიბოვი, ი. კენია, კ. ცინცაძე და სხვანი. მესამე საჩუქრების ტრანსპორტი გაიგზავნება ამ დღეებში.

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კონფერენცია

25 მაისს, გაიხსნა ხრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის კონფერენცია. კონფერენციას დაესწენ დელეგატები შემდეგ მაზრებიდან: რაჭის, სენაკის, ზუგდიდის, შორაპნის, სიღნაღის, თელავის, დუშეთის, გორის,, ქუთაისიდან, ბათომიდან, ტფილისიდან და სხვა.

კონფერენცია გახსნა მოკლე სიტყვით ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ბურჯანაძემ და წინადადება მისცა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მტერთან ბრძოლაში დახოცილ ჯარისკაცთა და გვარდიელთა ხსოვნისთვის, რაც შესრულებულ იქნა.

ამის შემდეგ ვ. ბურჯანაძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება კავშირის საბჭოს მოქმედების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის იანვრის 16-დან დღემდე საბჭოს ჰქონდა ათი მორიგი სხდომა და გაურჩევია 72 საქმე. საბჭოს უკისრნია სამაზრო ორგანიზაციებისათვის მომარაგების სამინისტროდან სანოვაგისა და ფართლეულობის მიწოდება და კიდევაც შეუსრულებია. საბჭოს მოუწესრიგებია ჟურ. „განათლების" გამოცემის საქმე; ჩაუბარებია მასწავლებელთათვის საზაფხულო შენობები მანგლისში და შესდგომია მის შეკეთებას; შეუდგენია საპენსიო კასის წესდების პროექტი, ურთიერთ დამხმარე და დამზღვევი კასის, კოოპერატივის, აძლევდა დახმარებას უმწეო მასწავლებლებს, შეუდგენია და დაურიგებია საანკეტო ფურცლები, შეუმუშავებია გეგმა კავშირის შემადგენელ ორგანიზაციათა მოწყობისა და სხვა. განათლების სამინისტრო დიდს თანაგრძნობას უწევდა კავშირს: როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ეთმავრესი შემოსავალი კავშირისა სამინისტროს დახმარება ყოფილა 70,000 მან.

კონფერენცია კმაყოფილი დარჩა საბჭოს მოქმედებით. 26 მაისს საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან.

ყველა საყურადღებო და ანგარიშ გასაწევი არის ბათომში შექმნილი პირობები სწავლა-განათლების დარგში. ინგლისელები ძლიერ ცუდად ეპყრობიან ადგ. ქართულ ეროვნულ საბჭოს და არ მიუციათ შენობა ქართულ გიმნაზიისთვის, ხელს უწყობენ საქართველოს წინააღმდეგ განწყობილ ორგანიზაციებს და სხვა. კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ სიღნაღის, შორაპნის, თელავის და გორის მაზრაში მცხ. ვრებ სომეხთა შვილებისათვის, რომელთა დედა ენა ქართულია და არა სომხური, სომეხთა ეროვნული საბჭო ხსნის თავის სკოლებს და პედ. პრინციპების წინააღმდეგ საგნების სწავლება ამ სკოლებში სომხურ ენაზე ხდება...

მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ საკითხმა ცხარე კამათი გამოიწვია. ბოლოს კონფერენციამ ხმის უმეტესობით დაადგინა: გაუდიდდეს მასწავლებლებს ჯამაგირი ას პროცენტამდე. მომატება გატარდეს პირველ მაისიდან.

27 დილით კონფერენციამ გაარჩია ვ. ბურჯანაძის მიერ წარმოდგენილი საპენსიო კასის პროექტი და მიიღო იგი მცირეოდენი შესწორებით. განიხილა აგრეთვე ფირცხალაიშვილის მოხსენება მანგლისის აგარაკის შესახებ და მიიღო.

27 საღამოს და 28 მაისს დილით კონფერენციამ განიხილა მასწ. ურთიერთ დამხმარე კასის წესდების პროექტი, ცენტრალურ კოოპერატივის დაარსების შესახებ მოხსენება, ადგილობრივ ორგანიზაციების მოწყობის გეგმა, აგრეთვე გამომცემლობის დაარსებაზე მიიღო იგი საბჭოს მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

დროებითი ზავი ადერბეიჯანსა და საქართველოს შორის

საქართველოს და ადერბეიჯანის დელეგაციის პირველი შეხვედრა მოხდა მაისის 30-ს. ბაქოდან მიღებულია ცნობა, რომ ადერბეიჯანის დელეგაციის თავმჯდომარე ავადმყოფობის გამო ბაქოდან გამოვა მხოლოდ 3 ივნისს დილით, ამის გამო დელეგაციების შეხვედრა გადაიდო 3 ივნისისთვის. დროებითი ზავის ვადა გაგრძელებულია კიდევ ხუთი დღით.

ერობა

ყოროლის ტყის ექსპლოატაცია.

ტფილისის ერობის გამგეობას ინჟენერმა გ. ქურდიანმა წარუდგინა მოხსენება ყოროლის ტყის ექსპლოატაციის შესახებ, რომელიც მდებარეობს სიღნაღის მაზრისკენ მიმავალ გზა-ტკეცილის პირად 60 ვერსის მანძილზე ტფილისიდან. ეს ტყე კახეთის რკინის გზის ლიანდაგს დაშორებულია 3—4 ვერსზე. დასახელებული ტყეზე ექსპლოატაციისთვის ხელსაყრელ პირობებს იძლევა. ყოროლის ტყე თითქმის შესდგება მუხისგან. აქედან ბევრი შპალები და პარკეტის მასალა გამოვა. ტყე თავის შემადგენლობით და მდებარეობით მეტად ძვირფასია. მუშა ხელის სიძვირის გამო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მანქანების ხმარება და ამით ტყის ექსპლოატაციაც გაადვილდება. ამას გარდა მანქანები მეტად შეამსუბუქებენ ხარჯებს და დროსაც შეამოკლებს. ბ-მა გ. ქურდიანმა ამ ტყის საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვა წარუდგინა ერობას, რომელმაც ის მიიღო. გ. ქურდიანის აზრით ამ ტყეში წელიწადში რომ დამზადდეს 3.000 კუბ. საჟ. შეშა შემოსავალი (წმინდა) ერობას უნდა დარჩეს 3.975.000 მან. შეშიდან და არა ნაკლები 2 მილ. მან. შპალებიდან და პარკეტებიდან, სულ 6 მილ. მან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს ტყე დიდ სიმდიდრეს შეადგენს. მაგალითად, ტყე რომ გაიკაფოს აქ უზარმაზარი სახნავი მინდვრები გადაიჭიმება. ამას მეტად ხელს უწყობს ის პირობებიც, რომ ამ ადგილს არის წყალიც და მინდვრების მორწყვა ადვილი მოსახერხებელია.

შორაპნის სამაზრო ხმოსანთა მეხუთე ყრილობა.

(გაგრძელება)

სამეურნეო დარგი.

ეს ის დარგი გახლავსთ, სადაც წარსულ წელში სესიის შემდეგ ცოტა რამისღა გაკეთება შეიძლებოდა; და ამიტომაც ჩვენ აღარ ვცდილვართ იქ იმის დახარჯვას, საიდანაც მოუხერხებელი იყო შესაფერი ნაყოფის მიღება.

ამ დარგში წელს ჩვენ მხოლოდ სამზადისი მუშაობა გვქონდა მომავალ წლისათვის.

ამ ჟამად ამ განყოფილებისათვის გვყავს განსაკუთრებული აგრონომი; მაზრა დაყოფილი გვაქვს რამოდენიმე უბნათ. გვყავს ორი ინსტრუქტორი, 5 სტაროსტა, რამოდენიმე ალაგას გვაქვს საცდელი მინდვრები და ბოსტნები; შემუშავებული გვაქვს საგანგებო ინსტრუქცია ამ დარგში მომუშავეთათვის.

პირველ რიგში დასმულია ყურადღება მიექცეს მეღვინეობას, მეურნეობას, შემდეგ მებოსტნეობას, მეხილეობას და ასე ქვევით.

1-ლ საფეხურის თვითმართველობანი (თემები).

თემებზე სათქმელი მე თითქმის აღარაფერი დამრჩენია. მართალია თემები ჩვენ მაზრაში ცოტა დაგვიანებით შემოვიღეთ, მაგრამ ამით ბევრი მოვიგეთ; ვისარგებლეთ სხვების მაგალითებით და ის შეცდომები, რომლებსაც სხვა თემებში ადგილი ჰქონდა, ჩვენ თემებში აღარ დაგვიშვია.

მაზრაში შექმნილია 26 თემი. დარჩენილია აუწყობლად მხოლოდ ორი თემი, რადგანაც თემისათვის საკმაო ძალები აქ ვერ ვიშოვნეთ.

თემების საბიუჯეტო უფლებანი ჯერ გამორკვეული არ არის, რაც ძალიან აბრკოლებს საქმეს.

რაც შეეხება თემების გამოჭრას, აქ გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ამ საკითხის გარშემო არ ასტეხოს კინკლაობა და იგი პირდაპირ ხალხს მიანდოს. გამგეობა ფიქრობს, რომ თუ დღეს ზოგიერთი თემები კიდეც გვედავებიან დამოუკიდებელ თემის შექმნის საკითხში, რამოდენიმე წლის შემდეგ, გამოცდილება და პრაქტიკა მათ დაანახვებს რამოდენიმე თემების შეერთების საჭიროებას, რადგანაც თვითეულ თემებს ბუჯეტი ძალიან მაღლა ადის, და ის პატარა თემები, რომლებიც დღეს ცალკე გამოყოფას მოითხოვენ, თვით შეგვეხვეწებიან მის მეზობელ თემს შეუერთოთ.

სხვა გაუგებრობას თემებთან წარსულ წელს ადგილი არ ჰქონია.

ერობის სამმართველოს და მისი შტატები.

ერობის სამმართველოს შტატი დაახლოვებით ისეთივეა, როგორც თქვენ მიერ იყო ნაკარნახევი. მუშაობა კანცელარიაში დამაკმაყოფილებელია, და ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, მომავალში, ცოტა პრაქტიკის მიღების შემდეგ, ეს მოსამსახურენი აუცილებლივ დაიმსახურებენ სახელს მუნიციპალური მოღვაწეობისას.

შტატის შედგენასთან ჩვენ შევეცადეთ სამეურნეო ნაწილის შექმნასაც. შევსძელით ცხენების და სხვა საჭირო ნივთების შეძენა; ჩვენი მუშაობა ამ დარგში საერთოდ საგრძნობი უნდა იყოს.

სამაზრო ციხე.

ციხესთან ჩვენი დამოკიდებულება დღემდე გამორკვეული არ არის. მინისტრის მიერ ამ ჟამად იქ შექმნილია ციხის დირექტორია, რომელიც განაგებს და სათავეში უდგია ციხის საქმეებს.

ქველმოქმედება.

დანარჩენ ჩვენს მოქმედებაში ადგილი ჰქონდა საქველმოქმედო მიზნით თანხების გაღებას. ასეთები ბევრი შეგვხდა, მაგრამ საგრძნობ ნაწილის მცირედი დახმარების მიცემა მაინც შესძლო ერობის გამგეობამ.

სტატისტიკა.

ერთად-ერთი დარგი, სადაც ჩვენი მუშაობა შედარებით მკრთალი იყო და უნაყოფო გახლავთ სტატისტიკური განყოფილება. საკმარისად გამოცდილ და მცოდნე პირთა უმონლობის გამო, ამ დარგის აწყობა ჩვენ ვერ შევსძელით წარსულში, და ამავე მდგომარეობაშია ახლაც ეს განყოფილება.

ამით ვათავებ ჩემს მოხსენებას და ვფიქრობ სესია სამართლიან დასკვნებს მოგვცემს სახელმძღვანელოდ აქ აღძრულ კითხვების შესახებ.

(შემდეგი იქნება).

განცხადებანი

დავკარგე მოწმობა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკ. მიღებული დავით ვლადიმირის ძე ნაცვლიშვილის სახელზედ. გაუქმებულათ ჩაითვალოს 1327 3—2

საქართველოს სატრანსპორტო საზ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ნიკოლოზ გიორგის ძე აბდუშელიშვილი დათხოვნილია ფოთის მთავარ აგენტის თანამდებობიდან. გამგეობის მიერ ხსენებულ აბდუშელიშვილისათვის მიცემული ვექილობა განვლილი წლის 7 ნოემბრიდან მე-1017 ნომრით, ჩაწერილი ქალ. ტფილისის ნოტარიუსის მაჰავარიანის რეესტრში მე-9462 ნომრით, გაუქმებულია.

608 3—1 გამგეობა.

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჰავარიანი.